საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 862-03
08/05/2026

“საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების, მასზე მიღებისა და სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ თაობაზე“ რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 5 მაისის N7011-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება “საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების, მასზე მიღებისა და სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ თაობაზე“ რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანების 1-ელი პუნქტით დამტკიცებული დანართის სათაურში, მე-2 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში, ასევე, ამოღებულ იქნას მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი და “**საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მარეგულირებელი წესი**” ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი